სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ხელშეკრულება №01-28/03/2022
(სადაზღვევო მომსახურეობის
გამარტივებული შესყიდვა)
(CPV66510000)

ქ.თბილისი **28 მარტი, 2022 წელი**

ერთის მხრივ, **სს "სადაზღვევო კომპანია ალდაგი" (შემდგომში "მზღვეველი"),** წარმოდგენილი მისი კორპორატიული გაყიდვების დეპარტამენტის დირექტორის, ბატონი დავით ეჯიბიას სახით და მეორეს მხრივ, **შპს "რუხის სავაჭრო ცენტრი" (შემდგომში "დამზღვევი")** წარმოდგენილი მისი დირექტორის, ბატონი დავით მაჭავარიანის სახით და შემდგომში ორივე ერთად "მხარეებად" მოხსენიებული, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 დეკემბრის №579-ე დადგენილების (შემდგომში დადგენილება) და "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ს[1] ქვეპუნქტის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას და ვთანხმდებით შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია დამზღვევის მესამე პირთა წინაშე სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა მზღვეველის მიერ დადგენილების, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, წინამდებარე ხელშეკრულების და ამ ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული მასობრივი თავშეყრის ობიექტების მფლობელთა მესამე პირთა წინაშე სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის პოლისის (შემდგომში დაზღვევის პოლისი) შესაბამისად დამზღვევის მიერ შესაბამისი დაზღვევის განაცხადის შევსების და სადაზღვევო პრემიის გადახდის საფუძველზე.
1.2. წინამდებარე ხელშეკრულება, ამ ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული დაზღვევის პოლისი და დამზღვევის მიერ შევსებული დაზღვევის განაცხადი წარმოადგენს ერთ მთლიან დაზღვევის ხელშეკრულებას და განიხილება როგორც ერთიანი განუყოფელი დოკუმენტი.

მუხლი 2 ტერმინთა განსაზღვრებანი

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს ენიჭებათ შემდეგი მნიშვნელობა:

2.1. მზღვეველი – სს "სადაზღვევო კომპანია ალდაგი";

2.2. დამზღვევი – პირი, მასობრივი თავშეყრის ობიექტის მფლობელი, რომელიც დებს წინამდებარე დაზღვევის ხელშეკრულებას მზღვეველთან და იხდის შესაბამის სადაზღვევო პრემიას;

2.3. მოსარგებლე/მესამე პირი (დაზარალებული) – პირი, რომელიც დაზღვევის პოლისის, დადგენილების და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად უფლებამოსილია მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება;

2.4. სადაზღვევო ლიმიტი – მზღვეველის პასუხისმგებლობის მაქსიმალური ლიმიტი - თანხა, რომლის ფარგლებშიც გაიცემა სადაზღვევო ანაზღაურება და რომელიც მითითებულია სადაზღვევო პოლისში;

2.5. სადაზღვევო ანაზღაურება – თანხა, რომელიც სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას გაიცემა მზღვეველის მიერ მოსარგებლის სახელზე და რომლის ოდენობა განისაზღვრება მესამე პირისთვის მიყენებული ზიანის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს სადაზღვევო ლიმიტისა; ამასთან, სადაზღვევო ლიმიტი მცირდება გაცემული სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობით.

2.5. სადაზღვევო პრემია – თანხა, რომელიც მითითებულია სადაზღვევო პოლისში მისი გადახდის პირობებთან და ვადებთან ერთად და რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულებითა და სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული დაზღვევის საფასურს;

2.6. ფრანშიზა – დაზღვევის პოლისში მითითებული თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც არ ექვემდებარება მზღვეველის მიერ ანაზრაურებას და რომელიც აკლდება ზარალის თანხის ოდენობას;

2.7. დაზღვევის პერიოდი – პერიოდი, მითითებული დაზღვევის პოლისში, რომლის განმავლობაშიც დაზღვევა ძალაშია და რომელი პერიოდის განმავლობაშიც დამდგარი სადაზღვევო შემთხვევები ექვემდებარება ანაზღაურებას;

2.8. დაზღვევის პოლისი – დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელებული დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტი;

2.9. დაზღვევის განაცხადი – მზღვეველის მიერ დადგენილი ფორმით დამზღვევის მიერ შევსებული კითხვარი, რომელიც მოიცავს ინფორმაციას რისკის შეფასებისთვის და დაზღვევის განხორციელებისათვის მზღვეველისათვის საჭირო გარემოებების შესახებ. განაცხადი ივსება დაზღვევის პოლისის გაცემამდე და წარმოადგენს დაზღვევის ხელშეკრულების დადების აუცილებელ წინაპირობას.

2.10. **დაფარული მასობრივი თავშეყრის ობიექტი** – დამზღვევის მართვის ქვეშ არსებული და დაზღვევის პოლისში მითითებული მასობრივი თავშეყრის ობიექტი, რომლის ტერიტორიაზეც მომხდარ შემთხვევებზე ვრცელდება წინამდებარე დაზღვევის დაფარვა.

2.11. მასობრივი თავშეყრის ობიექტი - განისაზღვრება დადგენილების შესაბამისად. ამასთან კონკრეტული ობიექტი, რომელზეც ვრცელდება წინამდებარე დაზღვევა მითითებულია დაზღვევის პოლისში.

2.12. სადაზღვევო შემთხვევა – დაფარული მასობრივი თავშეყრის ობიექტში ხანძრის, აფეთქების ან დაფარული მასობრივი თავშეყრის ობიექტში კონსტრუქციის ნგრევის (მათ შორის, სამგზავრო ლიფტის ვარდნის) შედეგად მესამე პირის სიცოცხლისთვის, ჯანმრთელობისთვის ან/და ქონებისთვის მიყენებული ზიანი (გარდა წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული გამონაკლისი შემთხვევებისა), რის ხდომილების შედეგად წარმოიშობა მზღვეველის ვალდებულება აანაზღაუროს ზარალი დაზღვევის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

2.13. ტერიტორიული ლიმიტი/იურისდიქცია: საქართველო

ხელშეკრულებაში გამოყენებულ სხვა ტერმინებს გააჩნიათ ჩვეულებრივი მნიშვნელობა. ამასთან, თუ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების გაგება არაერთგვაროვანია, სხვადასხვა ინტერპრეტაციებს შორის უპირატესობა ენიჭება საკანონმდებლო წესით განსაზღვრულ მნიშვნელობას, თუკი საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა ასეთს ითვალისწინებს.

მუხლი 3. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

3.1. დამზღვევი ვალდებულია:

3.1.1. განუხრელად დაიცვას ხელშეკრულებით დადგენილი პირობები და ნაკისრი მოვალეობები.

3.1.2. უზრუნველყოს მზღვეველი დაზღვევის ხელშეკრულების დასადებად აუცილებელი ინფორმაციით.

3.1.3. დროულად და სრულად, სადაზღვევო პოლისში მითითებული პირობების შესაბამისად გადაიხადოს სადაზღვევო პრემია.

3.1.4. ხელშეკრულების დასადებად და დაზღვევის განსახორციელებლად წარმოდგენილ მონაცემებში ნებისმიერი ცვლილების შემთხვევაში დაუყოვნებლივ შეატყობინოს ამის შესახებ მზღვეველს წერილობითი ფორმით.

3.1.5. სადაზღვევო შემთხვევის ხდომილებისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს 24 საათისა, აცნობოს ამის შესახებ მზღვეველს სადაზღვევო პოლისში მითითებულ ნომერზე, ხოლო 2 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში წერილობითი ფორმით გაუგზავნოს მზღვეველს შეტყობინება სადაზღვევო შემთხვევის შესახებ.

3.1.6. თავისი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის საფრთხეში ჩაუგდებლად მიიღოს ყველა შესაძლო ზომა ზიანის მოცულობის მაქსიმალურად შესამცირებლად.

3.1.7. მზღვეველის წარმომადგენლის მისვლამდე უზრუნველყოს სადაზღვევო შემთხვევის ადგილზე არსებული მდგომარეობის შენარჩუნება ობიექტური შესაძლებლობისა და მოქალაქეობრივი უფლებამოსილების ფარგლებში.

3.1.8. გაუწიოს მზღვეველს სათანადო დახმარება, ხელი შეუწყოს, მიიღოს მონაწილეობა სადაზღვევო შემთხვევის გამომწვევი მიზეზების, მისი დადგომის გარემოებების, შედეგებისა და მიყენებული ზიანის სიდიდის სრულ და ობიექტურ გამოკვლევაში, დადგენასა და შეფასებაში და არ იმოქმედოს მზღვეველის ინტერესების საწინააღმდეგოდ.

3.1.9. დაუყოვნებლივ შეატყობინოს მზღვეველს სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებით მის მიერ მიღებული ნებისმიერი უწყების, შეტყობინების ან გზავნილის შესახებ.

3.1.10. საკუთარი უფლებამოსილებისა და შესაძლებლობის ფარგლებში ხელი შეუწყოს მზღვეველს მის მიერ რეგრესის უფლების განხორციელებაში.

3.1.11. ყველა ღონე იხმაროს დაფარული მასობრივი თავშეყრის ობიექტის უსაფრთხოების დასაცავად.

3.1.12. მიანიჭოს სრული თავისუფლება მზღვეველს, რათა ამ უკანასკნელს მიეცეს საშუალება სურვილისამებრ ნებისმიერ დროს შეამოწმოს დაფარული მასობრივი თავშეყრის ობიექტის მდგომარეობა.

3.1.13. ზედმიწევნით დაიცვას ხელშეკრულების ყველა დებულების მოთხოვნა და მიაწოდოს მზღვეველს ყველა საჭირო და შესაბამისი ინფორმაცია და დოკუმენტაცია, რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის საფუძველს.

3.1.14. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას დაუყონებლივ აცნობოს აღნიშნულის შესახებ შესაბამის კომპეტენტურ ორგანოებს და სადაზღვევო შემთხვევის ხდომილებიდან არაუგვიანეს 60 (სამოცი) დღის განმავლობაში მზღვეველს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) შეტყობინება დაზარალებული მესამე პირის (პირების) მიერ პრეტენზიის წაყენების შესახებ;
ბ) დოკუმენტები სამედიცინო დაწესებულებიდან, რომელთაც დაზარალებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე კომპეტენტური ექსპერტიზის ჩატარებისა და საექსპერტო დასკვნის გაკეთების უფლება აქვთ (საავადმყოფო ფურცლის ასლი, ცნობა მკურნალობის შესახებ, საექსპერტო კომისიის დასკვნა და სხვა);
გ) თუ დაზარალებულის გარდაცვალების გამო ან სხვა მიზეზთა გათვალისწინებით, სხვა პირი იღებს სადაზღვევო ანაზღაურებას, დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მოსარგებლის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების მიღების უფლებამოსილებას, გარდაცვალების შემთხვევაში, ასეთი დოკუმენტია სამკვიდრო მოწმობა, რომელიც განსაზღვრავს მემკვიდრის წილს მამკვიდრებლის სამკვიდროში;
დ) მოსარგებლის პირადობის მოწმობის ასლი.
ე) შესაბამისი კომპეტენტური ორგანოების მიერ ოფიციალური ფორმით გაცემული (დამოწმებული უფლებამოსილი პირის ბეჭდითა და ხელმოწერით) სადაზღვევო შემთხვევის დამადასტურებელი დოკუმენტი, ორიგინალის სახით, სადაც აღნიშნული უნდა იყოს: შემთხვევის ადგილი და თარიღი, გამომწვევი მიზეზი, შემთხვევის მოხდენაზე პასუხისმგებელი პირი (პირები) (ასეთის არსებობისას), აგრეთვე, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოებები;

ვ) ზიანის დამადასტურებელი და სადაზღვევო ანაზღაურების გაცემისთვის აუცილებელი სხვა ინფორმაცია და დოკუმენტაცია;
წინამდებარე მუხლის გათვალისწინებულ ვადაში დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში მზღვეველი თავისუფლება სადაზღვევო ანაზღაურების გაცემისგან, დადგენილების 5-ე მუხლის 3-ე პუნქტის გათვალისწინებით;
3.1.15. არც ერთ შემთხვევაში არ აღიაროს მესამე პირის წინაშე პასუხისმგებლობა მზღვეველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე;

3.2. მზღვეველი ვალდებულია:
3.2.1. განხორციელებული დაზღვევის დასადასტურებლად გადასცეს დამზღვევს დაზღვევის პოლისი, ამასთან, დაზღვევის განსახორციელებლად უზრუნველყოს დამზღვევი შესაბამისი განაცხადის ფორმით;

3.2.2. მიიღოს განცხადება სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შესახებ განხილვისთვის;

3.2.3. შეადგინოს სადაზღვევო აქტი სადაზღვევო შემთხვევის შესახებ;

3.2.4. მოახდინოს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა მხარეთა შორის ხელმოწერილი სადაზღვევო შემთხვევის აქტის საფუძვლელზე;

3.2.5. ჯეროვნად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობები.

3.3. დამზღვევი უფლებამოსილია:

3.3.1. განხორციელებული დაზღვევის დასტურად მოითხოვოს დაზღვევის პოლისი;

3.3.2. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მიიღოს მონაწილეობა მისი გამომწვევი მიზეზების, მიყენებული ზიანის სიდიდის და სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული სხვა მონაცემების მოკვლევა-მოძიებაში;

3.4. მზღვეველი უფლებამოსილია:

3.4.1. დაზღვევის ხელშეკრულების დადებამდე მოახდინოს დასაზღვევი რისკის გამოკვლევა.

3.4.2. გააკონტროლოს დამზღვევის მიერ ხელშეკრულების პირობებისა და მოთხოვნების შესრულება;

3.4.3. შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება და შესთავაზოს დამზღვევს, ახალი ხელშეკრულების

დადება შეცვლილი სახით იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს ცვლილებებს სადაზღვევო რისკში;

3.4.4. ცალმხრივად შეწყვიტოს დაზღვევის ხელშეკრულების (პოლისის) მოქმედება და წერილობით შეატყობინოს დამზღვევს აღნიშნულის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ გამოვლინდება, რომ დამზღვევის მიერ განაცხადში მითითებული მონაცემები და გარემოებები არ შეესაბამება სინამდვილეს ან ყალბია.

3.4.5. გააგზავნოს შესაბამისი შეკითხვები ნებისმიერი უწყებაში, კომპეტენტურ ორგანოებში დაზღვევისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან დაკავშირებით;

3.4.6. სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ მოითხოვოს დამზღვევისაგან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა ის ინფორმაცია და დოკუმენტაცია, რომელსაც მზღვეველი მიიჩნევს საჭიროდ სადაზღვევო შემთხვევის ობიექტურად შეფასებისათვის;

3.4.7. მოახდინოს შემთხვევის ადგილის დათვალიერება და ფოტოგადაღებები;

მუხლი 4. სადაზღვევო პრემია და მისი გადახდის წესი

4.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაზღვევისათვის დამზღვევის მიერ გადასახდელი სადაზღვევო პრემიის ოდენობა და მისი გადახდის წესი განისაზღვრება დაზღვევის პოლისით.
4.2. მზღვეველის ვალდებულებები ძალაში შედის შესაბამისი სადაზღვევო პერიოდის დაწყების მომენტიდან. ამასთან, სადაზღვევო პრემიის დროულად, ხელშეკრულებით ან/და სადაზღვევო პოლისით დადგენილ ვადებში გადაუხდელობის შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება სადაზღვევო შემთხვევას, მზღვეველი კანონით დადგენილი წესით თავისუფლდება ანაზღაურების მოვალეობისაგან
4.3. თუ სადაზღვევო პრემიის გადახდა ხორციელდება განვადებით, სადაზღვევო პრემიის დროულად, დაზღვევის პოლისით დადგენილ ვადებში გადაუხდელობის შემთხვევაში, მზღვეველის მხრიდან განისაზღვრება პრემიის გადახდის ორკვირიანი დამატებითი ვადა. თუ ამ ვადის გასვლის შემდგომ ადგილი ექნება სადაზღვევო შემთხვევას, და გადახდა არ იქნება განხორციელებული, მზღვეველი თავისუფლდება ანაზღაურების მოვალეობისაგან. ამასთან, პრემიის დროულად გადაუხდელობისას მზღვეველი უფლებას იტოვებს ერთი თვით ადრე წერილობითი შეტყობინების საფუძველზე და ამ ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ ცალმხრივად შეწყვიტოს დაზღვევის ხელშეკრულება.

მუხლი 5. ხელშეკრულების ღირებულება

5.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება (დამზღვევის მიერ მზღვეველისთვის პოლისების საფუძველზე გადასახდელი ჯამური სადაზღვევო პრემიის ოდენობა) შეადგენს სულ **1000** (ათასი) ლარს. სადაზღვევო პრემიის გადახდას დამზღვევი უფრინველყოფს ყოველთვიურად, გაწეული მომსახურების შემდგომ, 12 (თორმეტი) თანაბარი გადახდით, შემდეგი გრაფიკის მიხედვით:

	თარიღი	გადასახდელი თანხა
1	05 მაისი, 2022	83.37 ლარი.
2	05 ივნისი, 2022	83.33 ლარი.
3	05 ივლისი, 2022	83.33 ლარი.
4	05 აგვისტო, 2022	83.33 ლარი.
5	05 სექტემბერი, 2022	83.33 ლარი.
6	05 ოქტომბერი, 2022	83.33 ლარი.
7	05 ნოემბერი, 2022	83.33 ლარი.
8	05 დეკემბერი, 2022	83.33 ლარი.
9	05 იანვარი, 2023	83.33 ლარი.
10	05 თებერვალი, 2023	83.33 ლარი.
11	05 მარტი, 2023	83.33 ლარი.
12	05 აპრილი, 2023	83.33 ლარი.

5.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობის მიღებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს, მათ შორის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადს.

მუხლი 6. ანგარიშწორების ფორმა და ვადები

6.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:
ა) ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი

ბ) ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.
6.2. დამზღვევი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მზღვეველს მომსახურების ღირებულება.
6.3 მზღვეველი ვალდებულია წარმოუდგინოს დამზღვევს ინვოისი მომსახურების გაწევის მომდევნო თვის 10 რიცხვამდე, ხოლო დამზღვევი ვალდებულია ინვოისის წარმოდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში გადაიხადოს მომსახურების ღირებულება.

მუხლი 7. გამონაკლისები:

7.1. ანაზღაურებას არ ექვემდებარება ზიანი და სადაზღვევო შემთხვევად არ განიხილება ხდომილება, რომელიც გამოწვეულია: იონიზირებული რადიაციით, თერმობირთვული საწვავის ან ნებისმიერი ბირთვული ნარჩენებით განპირობებული რადიაქტიული დაბინძურებით, რადიაქტიული, ტოქსიკური, ფეთქებადი ან ნებისმიერი ბირთვული ნივთიერების შემცველი აირით; მასობრივი არეულობით, ტერორიზმით, საომარი მოქმედებებით, საგანგებო, სამხედრო მდგომარეობით, სამოქალაქო ომით, საბოტაჟით, აჯანყებით, შეიარაღებული გამოსვლებით, ატომური იარაღის გამოყენებით, მანიფესტაციებით, ლოკაუტით, გაფიცვით; ბუნებრივი მოვლენებით.
7.2 ანაზღაურებას არ ექვემდებარება ზიანი, რომელიც გამოწვეულია შემდეგი ქონების განადგურებით: ფულის ბანკნოტები და კუპიურები, ბეჭდები, ობლიგაციები, ვაუჩერები, ჟეტონები, საკრედიტო ბარათები და სხვა ფასიანი ქაღალდები; ხელნაწერები, გეგმები, ნახაზები.

მუხლი 8 რეგრესის წესი

8.1. სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის შემდეგ მზღვეველს უფლება აქვს, რეგრესის წესით წაუყენოს მოთხოვნა სადაზღვევო შემთხვევის დადგომაზე პასუხისმგებელ პირს, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

მუხლი 9. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

მომსახურების მიღება წარმოებს ინვოისის საფუძველზე.

მუხლი 10. დავა და ზიანის ანაზღაურება

10.1. მხარეთა შორის წამოჭრილი ნებისმიერი დავა წყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმებით, შეუთანხმლებლობის შემთხვევაში კი - საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლოს მეშვერობით. ამასთან, მხარეთა მიერ განსჯად სასამართლოდ შეთანხმებულია თბილისის საქალაქო სასამართლო.
10.2. ამასთან, მხარეთა მიერ შეთანხმებულია რომ მზღვეველის სასარგებლოდ მიღებული პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღსრულებას საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე პირველი პრიმა მუხლის თანახმად
10.3. თითოეული მხარე ვალდებულია, აუნაზღაუროს მეორე მხარეს თავისი ქმედებით მიყენებული ზიანი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 11. ფორს-მაჟორი

11.1. მხარეები დროებით თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან, თუ ზემოხსენებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების მიზეზი იყო დაუძლეველი ძალის ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომა.
11.2. ფორს-მაჟორული მდგომარეობის დადგომის შემთხვევაში მხარეთა ვალდებულებანი წყდება მხოლოდ დროებით და სრულად ახლდება ამ გარემოებათა დამთავრების ან აღმოფხვრისთანავე.
11.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომა და შეწყვეტა უნდა დაადასტუროს შესაბამისმა კომპეტენტურმა ორგანომ.

მუხლი 12. ხელშეკრულების მოქმედება

12.1. წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღი ფიქსირდება ამ უკანასკნელის პირველი გვერდის ზედა მარჯვენა კუთხეში.
12.2. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2023 წლის 01 მაისის ჩათვლით.
12.3. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადებია: 2022 წლის 31 მარტის 24 საათიდან 2023 წლის 31 მარტის 24 საათამდე (სადაზღვევო პერიოდი).

მზღვეველი: ———————————————— დამზღვევი: ————————————————

მუხლი 13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაზღვევის შეწყვეტის საფუძველი შეიძლება გახდეს:
ა) მზღვეველის მიერ დაზღვევის პოლისის მიხედვით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულება;
ბ) მეორე მხარის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობა;
გ) პოლისით გათვალისწინებული ვადის გასვლა;
დ) თუ დაზღვევის საგანი აღარ არსებობს, გარდა სადაზღვევო რისკით გამოწვეული შედეგებისა;
ე) თუ დამზღვევი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით წყვეტს საქმიანობას;
ვ) ამოიწურა დაზღვევის პოლისით განსაზღვრული სადაზღვევო ლიმიტი.
ზ) თუ სადაზღვევო რისკის ზრდა დამზღვევის, მისი წარმომადგენლის ან დამზღვევის სახელით მოქმედი ნებისმიერი პირის მიერ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არის გამოწვეული;
თ) მხარეთა წინასწარი წერილობითი შეთანხმება;
ი) საქართველოს კანონმდებლობითა და/ან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.
13.2. მზღვეველის ინიციატივით დაზღვევის პოლისის/დაზღვევის ვადაზე ადრე შეწყვეტისათვის (გარდა წინამდებარე ხელშეკრულების 13.1 მუხლის ა, გ, დ და ვ ქვეპუნქტებისა, როდესაც დაზღვევა შეწყდება ამგვარი მოვლენის დადგომის მომენტიდან), იგი ვალდებულია გაუგზავნოს დამზღვევს წერილობითი შეტყობინება მისი ადგილსამყოფელის მისამართზე 30 დღიანი ვადის დაცვით. ასეთ შემთხვევაში დამზღვევს დაუბრუნდება შეწყვეტის დღისათვის პოლისის დარჩენილი პერიოდისთვის პრემიის პროპორციული ოდენობა იმ პირობით, თუ შეწყვეტა არ არის განპირობებული დამზღვევის მიზეზით/ბრალით და იგი დააბრუნებს სადაზღვევო პოლისის ორიგინალს მისი გაუქმებიდან 14 დღის განმავლობაში და ასევე, 13.4. პუნქტით დადგენილი პირობის გათვალისწინებით;
13.3. დამზღვევის ინიციატივით დაზღვევის პოლისის/დაზღვევის ვადაზე ადრე შეწყვეტისათვის იგი ვალდებულია, გაუგზავნოს მზღვეველს წერილობითი შეტყობინება მისი ადგილსამყოფელის მისამართზე 30 დღიანი ვადის დაცვით. დამზღვევს, მისი წერილობითი განცხადების საფუძველზე, დაუბრუნდება პრემია მოკლე პერიოდის გრაფიკის მიხედვით, იმ პირობით თუ პოლისის მოქმედების პერიოდის განმავლობაში პოლისზე არანაირი პრეტენზია/შემთხვევა არ ყოფილა შეტყობინებული. სხვა შემთხვევაში პრემია მზღვეველის მიერ დაბრუნებას არ ექვემდებარება.
მოკლე პერიოდის გრაფიკი:

პერიოდი, რომლის განმავლობაშიც პოლისი ფაქტობრივად ძალაში იყო	შესაბამისი პერიოდისათვის გადასახდელი წლიური ჯამური პრემიის %
6 თვეზე ნაკლები	50%
6-9 თვე	80%
9-12 თვე	100%

13.4. თუ პოლისის/დაზღვევის მოქმედება შეწყდა ნებისმიერი მიზეზით და ამ პოლისის/დაზღვევის მოქმედების პერიოდის განმავლობაში მზღვეველის მიერ ანაზღაურებულია/ადიარებულია/ასანაზღაურებელია ზარალი, ზემოთ მითითებული დებულებების მიუხედავად, პრემია, არც ერთ შემთხვევაში დაბრუნებას არ ექვემდებარება და პოლისით გათვალისწინებული სადაზღვევო პრემია დამზღვევის მიერ სრულად უნდა იქნას გადახდილი.

მუხლი 14. დასკვნითი დებულებები

14.1. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შედგენილია წერილობითი ფორმით და ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ. ისინი წარმოადგენენ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
14.2. ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას თუ იგი დაიდებობა ასეთი ბათილი პუნქტის გარეშეც გარეშეც.
14.3. ხელშეკრულების აღსრულებისათვის აუცილებელი ყველა შეტყობინება მიეწოდება წერილობითი ფორმით, ან გადაეგზავნება ფაქსით, ან დაზღვეული ფოსტით მხარეთა ადფილსამყოფელის მიხედვით. მისამართის/ადგილსამყოფელის ცვლილების შესახებ ინფორმაციის დაუყოვნებლივ მზღვეველისთვის მიუწოდებლობის შემთხვევაში, მზღვეველის მიერ გამგზავნილი ნებისმიერი კორესპოდენცია/შეტყობინება ჩაითვლება დამზღვევის მიერ მიღებულად.
14.4. წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად, სახელშეკრულებო პირობები ატარებენ კონფიდენციალურ ხასიათს და ამ ხელშეკრულების პირობებთან დაკავშირებული ყოველგვარი

მზღვეველი: ——————————————— დამზღვევი: ——————————————

ინფორმაცია მესამე პირს (პირებს) გადაეცემა(თ) მხოლოდ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით, ასევე, მხარეთა მიერ წერილობით გათვალისწინებული შემთხვევებში. მიუხედავად ამისა, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით დამზღვევი ანიჭებს უპირობო უფლებას მზღვეველს, დამატებითი შეთანხმების გარეშე, დამზღვევის შესახებ არსებული ნებისმიერი ინფორმაცია გადასცეს სს "კრედიტინფო საქართველოს" (რეგისტრირებული მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს მიერ 2005 წ. 14 თებერვალს, რეესტრის №06/5-51, საიდენტ. №204470740), რაც გამოიწვევს დამზღვევის აღრიცხვას "კრედიტინფო საქართველოს" მონაცემთა ბაზაში.

14.5. წინამდებარე ხელშეკრულებზე ხელმოწერით, დამზღვევი ანიჭებს უფლებამოსილებას მზღვეველს, მზღვეველის ან მზღვეველის აფილირებული პირის მიერ მზღვეველის საქმიანობის რეკლამირებისას, საქმიანობის შესახებ საჯარო განცხადების (მათ შორის წერილობით, მასობრივად ხელმისაწვდომი საშუალებით, ინტერნეტით და სხვა) გაკეთებისას მიუთითოს დამზღვევი, როგორც მზღვეველის კლიენტი, მიუთითოს წინამდებარე ხელშეკრულების არსებობაზე (კონფიდენციალურობის ვალდებულების დაცვით) და ამ მიზნით დამზღვევის აღსანიშნავად გამოიყენოს დამზღვევის საფირმო სახელწოდება ან/და სასაქონლო ნიშანი (მათ შორის ის სასაქონლო ნიშნები, რომლებსაც დამზღვევი იყენებს სასაქონლო ნიშნის მესაკუთრისგან / მფლობელისგან კანონმდებლობით დადგენილი წესით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე);

14.6. წინამდებარე ხელშეკრულება ყველა ვალდებულებით ვრცელდება ორივე მხარის უფლებამონაცვლეებზე, წარმომადგენლებზე და რწმუნებულებზე;

14.7. ხელშეკრულების ხელმოწერით მხარეები ადასტურებენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია გონივრული განსჯის შედეგად და მასზე ხელმომწერ პირებს აქვთ სათანადო უფლებამოსილება ამისათვის;

14.8. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა "დამზღვევს", მეორე კი – "მზღვეველს."

მუხლი 15. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

"მზღვეველი"

სს "სადაზღვევო კომპანია ალდაგი"

იურიდიული/ფაქტობრივი
მის.: საქართველო, თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №66ა.
ტელ.: (995 32) 2444999
ფაქსი.: (995 32) 2294905
საიდენტიფიკაციო კოდი: 404476189
საბანკო რეკვიზიტები:
სს „საქართველოს ბანკი",
კოდი: BAGAGE22
ა/ა GE65BG0000000114845506

დ. ეჯიბია _____

კორპორატიული გაყიდვების დეპარტამენტის დირექტორი

"დამზღვევი"

შპს "რუხის სავაჭრო ცენტრი"

იურიდიული მის.: საქართველო,თბილისი ვუკოლ ბერიძის №6
საიდენტიფიკაციო კოდი: 404 484 704
საბანკო რეკვიზიტები:

დ. მაჭავარიანი ----------

დირექტორი

JSC Insurance Company Aldagi
Digitally signed by JSC Insurance Company Aldagi
Date: 2022.03.28 12:26:29 +04:00

JSC Borjomi Likani International
Digitally signed by JSC Borjomi Likani International
Date: 2022.03.28 14:40:09 +04'00'